სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

24/02/2026

MES 7 26 0000217662

# ბრძანება

თბილისი

**სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2026 წლამდე გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შედეგად დაფინანსებული პროექტებით გათვალისწინებულ სამეცნიერო სტატიების და პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად აღიარებული ჟურნალების, საკონფერენციო კრებულების და წიგნების ნუსხაში ახალი ჟურნალის დამატების შესახებ**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და ,,ღ'' ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის 2026 წლის 14 იანვრის N21682 წერილის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ 2026 წლამდე ადმინისტრირებულ საგრანტო კონკურსების შედეგად, დაფინანსებული პროექტებით გათვალისწინებული სამეცნიერო სტატიებისა და პუბლიკაციების გამოსაქვეყნებელი ჟურნალების, საკონფერენციო კრებულების და წიგნების ნუსხას, რომლებიც ინდექსირებულია შემდეგ რეიტინგებში Scimago Journal Ranking რეიტინგში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct), Clarivate (Web of Science), ERIH plus დაემატოს ჟურნალი Annals The Journal of Nature Studies - Annals of Agrarian Science (აგრარულ მეცნიერებათა მემატიანე);
2. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ხელმოწერილია
შტამპდასმულია
ელექტრონულად